საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/28 "1" აპრილი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სავალდებულო დაზღვევის ვაუჩერის საშუალებით განხორციელების თაობაზე

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევისა და მათი ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით, საერთო სასამართლოების მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი სახსრების გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე:

ა) რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა განხორციელდეს ვაუჩერის საშუალებით;

ბ) სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა დაამტკიცოს ვაუჩერის პირობები (მათ შორის, ვაუჩერის მიმღები ორგანიზაციების ნების გამოხატვის, ვაუჩერის გაცემის წესები, სამედიცინო მომსახურებათა ნუსხა, ვაუჩერის ღირებულება, აგრეთვე ვაუჩერის გამოყენებასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა).

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი